საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

კვლევა მომზადებულია ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ

თებერვალი, 2014

I. შესავალი 4
II. სახელმწიფოთა პრაქტიკა 4
ბულგარეთი 4
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი 4
დანიშვნა და ზედამხედველობა 5
დისციპლინური წარმოება 8
სერბეთი 9
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი 9
დანიშვნა და ზედამხედველობა 10
დისციპლინური წარმოება 12
ლიტვა 14
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შექმნის მოკლე მიმოხილვა, დრო და მიზანი 14
დანიშვნა და ზედამხედველობა 15
დისციპლინური წარმოება 17
მოლდოვა 19
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შექმნის მოკლე მიმოხილვა, დრო და მიზანი 19
დანიშვნა და ზედამხედველობა 19
დისციპლინური წარმოება 21
დიდი ბრიტანეთი 23
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი 23
დანიშვნა და ზედამხედველობა 24
დისციპლინური წარმოება 25
ალბანეთი 25
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი 25
დანიშვნა და ზედამხედველობა 26
დისციპლინური წარმოება 27
ესტონეთი 28
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი 28
დანიშვნა და ზედამხედველობა 29
დისციპლინური წარმოება 30

პორტუგალია **32**
კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი 32
დანიშვნა და ზედამხედველობა 34
დისციპლინური წარმოება 34
III. დასკვნა **35**
გამოყენებული ლიტერატურა **39**

I. შესავალი

წინამდებარე კვლევაში განხილულია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, მისი სტატუსი სახელმწიფო აღსრულების სისტემებში და კერძო აღმასრულებლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. შერეულ სისტემებში ყურადღება გამახვილებულია კერძო აღმასრულებლის როლზე საერთო სისტემის ფარგლებში როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ ერთეულებში. კვლევაში აღწერილია კერძო აღმასრულებლის დანიშვნისა და ლიცენზირების კრიტერიუმები, პროცედურები და კერძო აღმასრულებლის ფუნქციები, ასევე, მათი ზედამხედველობისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. დოკუმენტი მიმოიხილავს კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტს ევროპულ ქვეყნებში ***(ბულგარეთი, სერბეთი, ლიტვა, მოლდოვა, დიდი ბრიტანეთი, ალბანეთი, ესტონეთი და პორტუგალია)*** შემდეგი ძირითადი საკითხების მიხედვით:

- **კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შექმნის მოკლე მიმოხილვა, დრო და მიზანი;**
- **კერძო აღმასრულებლის დანიშვნის წესი, პირობები და ზედამხედველობა;**
- **დისციპლინური წარმოება.**

II. სახელმწიფოთა პრაქტიკა

ბულგარეთი

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი

ბულგარეთში კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2005 წლის 10 მაისს შეიქმნა **„კერძო აღმასრულებლების შესახებ“ კანონის საფუძველზე**[1] ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების მხედველობაში მიღებით.[2] დღეისათვის ბულგარეთში შერეული სისტემა მოქმედებს, წარმოდგენილია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო აღმასრულებლის ინსტიტუტი. სახელმწიფო აღმასრულებლებთან დაკავშირებული საკითხები „სასამართლო სისტემის შესახებ“ აქტის მე-12 თავით რეგულირდება.

კერძო აღმასრულებლის იურისდიქცია შესაბამისი საოლქო სასამართლოს იურისდიქციაზეა მიბმული.[3] ოლქის ყოველ 30000 მცხოვრებზე ერთი კერძო

[1] წყარო: კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები. ხელმისაწვდომია: http://www.bcpea.org/english/viewpage.php?page_id=5

[2] წყარო: კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები, ხელმისაწვდომია: http://www.bcpea.org/english/viewpage.php?page_id=8

[3] მუხლი 2, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

აღმასრულებელი უნდა დაინიშნოს.[4] ინსტიტუტის შემოღების პირველ წლებში ბულგარეთში 85 კერძო აღმასრულებელი მოქმედებდა, ხოლო დღესდღეობით სულ 163 კერძო აღმასრულებელი მოქმედებს (82 მამაკაცი და 81 ქალი).[5] რაც შეეხება სახელმწიფო აღმასრულებლებს, ისინი რაიონული სასამართლოს იურისდიქციაზე არიან მიბმულნი და მათ რაოდენობას იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს.[6]

კერძო აღმასრულებლის მთავარი განსხვავება სახელმწიფო აღმასრულებლისგან ისაა, რომ პირველს მოქმედების უფრო ფართო არეალი აქვს (რომელიც შემოიფარგლება ოლქით და არა რაიონით, როგორც სახელმწიფო აღმასრულებლის შემთხვევაში). გარდა ამისა, სახელმწიფო აღმასრულებლისთვის გადახდილი აღსრულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება და სახელმწიფო აღმასრულებელი ხელფასს იღებს, ხოლო კერძო აღმასრულებლისთვის გადახდილი აღსრულების გადასახადი მას რჩება, ბიუჯეტისთვის დადგენილი გადასახადის გარდა.[7]

დანიშვნა და ზედამხედველობა

ბულგარეთში კერძო აღმასრულებელთა საქმიანობაზე ზედამხედველობას **იუსტიციის სამინისტრო** ახორციელებს **იუსტიციის სამინისტროს** ინსპექტორების მეშვეობით.[8] კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება ტარდება **იუსტიციის მინისტრის** ბრძანებით, რომელიც გამოიცემა დაინტერესებული პირის განცხადების ან საჩივრის, ან კერძო აღმასრულებელთა პალატის წინადადების საფუძველზე.[9] კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმების ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ინსპექტორს უნდა ჰქონდეს თავისუფალი წვდომა კერძო აღმასრულებლის ოფისსა და მის ოფიციალურ არქივზე.[10] დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ინსპექტორს შესაბამისი დოკუმენტების ქსეროასლების გადაღების უფლება აქვს.[11] ყოველი წლის დასრულების შემდგომ **სამ თვეში** კერძო აღმასრულებელმა **იუსტიციის სამინისტროს** უნდა წარუდგინოს საქმიანობის

ხელმისაწვდომია: http://www.bcpea.org/uploads/pdf/zakon_en.pdf

[4] მუხლი 8, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

[5] კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები, ხელმისაწვდომია: http://www.bcpea.org/english/viewpage.php?page_id=8

[6] მუხლი 264, ბულგარეთის იურიდიული სისტემის შესახებ აქტი, ხელმისაწვდომია: http://www.vks.bg/english/vksen_p04_06.htm#Chapter_twelve__

[7] წყარო: ბულგარელი კერძო აღმასრულებლის, ველიჩკო აპოსტოლოვის, პირადი ვებგვერდი, მე-4 კითხვა, http://vapostolov.eu/en/faq.html

[8] მუხლი 75, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

[9] მუხლი 76, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

[10] იქვე.

[11] იქვე.

ყოველწლიური ანგარიში, რომლის რეკვიზიტები დგინდება **იუსტიციის მინისტრის** მიერ გამოცემული აქტით.[12]

ბულგარეთის ყველა კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, ბულგარეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის წევრი გახდეს. [13] პირმა, რომელსაც კერძო აღმასრულებლობა სურს, უნდა შეავსოს განაცხადი კერძო აღმასრულებელთა პალატაში, რომელსაც შემდგომ ეს უკანასკნელი **იუსტიციის სამინისტროს** გადასცემს კანდიდატის შესახებ საკუთარ მოსაზრებასთან ერთად.[14]

კერძო აღმასრულებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც არის ბულგარეთის მოქალაქე დ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. აქვს იურიდიული განათლება;
2. მიღებული აქვს სასამართლო სისტემაში საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება კანონის შესაბამისად;
3. აქვს იურისტად მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება;
4. არ არის ნასამართლევი, მიუხედავად იმისა, გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა;
5. არ აქვს კერძო აღმასრულებლის კვალიფიკაცია გაუქმებული;
6. არ აქვს ჩამორთმეული უფლება, განახორციელოს პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა;
7. არ არის ვალაუვალ მდგომარეობაში და არ უღიარებიათ გაკოტრებულად;
8. გაიარა კერძო აღმასრულებლად დანიშვნის კონკურსი. [15]

ვაკანტური პოზიციის დაკავება კონკურსის საფუძველზე ხდება, რომელსაც **იუსტიციის სამინისტრო** ატარებს. [16] კონკურსის პირობები და ჩატარების წესი **იუსტიციის მინისტრის** ბრძანებით დგინდება, ხოლო თავად ბრძანება კერძო აღმასრულებელთა პალატის მოსაზრების წარდგენის შემდეგ გამოიცემა.[17] კონკურსი სპეციალური კომისიის მიერ ტარდება, რომელიც უნდა შედგებოდეს თავმჯდომარისგან, რომელიც **იუსტიციის სამინისტროს** წარმოადგენს, და წევრებისგან – უზენაესი სასამართლოს მოსამართლისგან, პალატის მიერ დანიშნული ორი კერძო აღმასრულებლისგან და **იუსტიციის სამინისტროს** მიერ დანიშნული

[12] მუხლი 77, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[13] მუხლი 3, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[14] მუხლი 7, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[15] მუხლი 5, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[16] მუხლი 9, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[17] მუხლი 10, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

სამოქალაქო სამართლის პროფესორისგან.[18] კონკურსის შედეგების მიღებიდან ერთი თვის ვადაში **იუსტიციის მინისტრი** ვალდებულია, გამოსცეს ბრძანება იმის შესახებ, თუ ვინ დაინიშნა ვაკანტურ თანამდებობაზე.[19]

კერძო აღმასრულებლის უფლებამოსილება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

- საკუთარი ინიციატივით – **იუსტიციის სამინისტროსთვის** შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე;
- თუ გარდაიცვალა ან ცნობილ იქნა ქმედუუნაროდ;
- მისი არყოფნის დროს ან თუ შეუძლებელია მისი ფუნქციების შესრულება მას შემდეგ, რაც ამოიწურა მისი ჩანაცვლების ყველა შესაძლებლობა;
- თუ მას არ შეუძლია დაკისრებული ვალდებულებების განხორციელება;
- თუ ის არ აკმაყოფილებს კერძო აღმასრულებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს;
- თუ ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას;
- თუ აღმასრულებელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.[20]

კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე თანაშემწე, რომლებიც იმავე მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდნენ, რაც კერძო აღმასრულებლისთვისაა დადგენილი. [21] თანაშემწის დანიშვნაზე ნებართვა **იუსტიციის სამინისტრომ** უნდა გასცეს, რის შემდეგ **შვიდი დღის ვადაში** კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, ავტორიზაციის მიღების შესახებ გადაწყვეტილება კერძო აღმასრულებელთა პალატას შეატყობინოს. [22] თანაშემწე უფლებამოსილია, ყველა ის საქმიანობა აღასრულოს, რისი აღსრულების უფლებაც კერძო აღმასრულებელს აქვს. [23] კერძო აღმასრულებელსა და თანაშემწეს შორის ურთიერთობები ხელშეკრულების საფუძველზე რეგულირდება. [24] კერძო აღმასრულებლის არყოფნის ან მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება თანაშემწის მიერ არის შესაძლებელი.[25] ჩანაცვლება ზედიზედ – ერთ, ხოლო წელიწადში **სამ თვეზე** დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, გარდა კერძო აღმასრულებლის დროებითი შრომისუუნარობის, ფეხმძიმობის,

---

[18] იქვე.
[19] მუხლი 11, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[20] მუხლი 31, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[21] მუხლი 36, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[22] იქვე.
[23] მუხლი 37, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[24] იქვე.
[25] მუხლი 39, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

ბავშვის გაჩენის და მოვლის შემთხვევებისა.[26] კერძო აღმასრულებელი შეიძლება სხვა კერძო აღმასრულებელმაც ჩაანაცვლოს იმავე ან მომიჯნავე ოლქიდან. [27] ამ შემთხვევაში, ჩანაცვლება ზედიზედ – სამ, ხოლო წელიწადში **ექვს თვეზე** დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, გარდა კერძო აღმასრულებლის დროებითი შრომისუუნარობის, ფეხმძიმობის, ბავშვის გაჩენის და მოვლის შემთხვევებისა. [28] თანაშემწე ან კერძო აღმასრულებელი, რომლებმაც კერძო აღმასრულებელი ჩაანაცვლეს, ვალდებულნი არიან, ჩანაცვლებიდან არაუგვიანეს **შვიდი დღის** ვადაში აღნიშნულის შესახებ კერძო აღმასრულებელთა პალატას შეატყობინონ.[29] თუ კერძო აღმასრულებელმა ვერ მოახერხა იმ პირის მოძებნა, ვინც მას დროებით არყოფნის განმავლობაში ჩაანაცვლებს, იგი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ კერძო აღმასრულებელთა პალატას შეატყობინოს, რის საფუძველზეც პალატამ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მისი შემცვლელი კერძო აღმასრულებელი უნდა დაასახელოს.[30] ამ შემთხვევაში, ჩანაცვლება ზედიზედ – ერთ, ხოლო **წელიწადში სამ თვეზე** დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს.[31]

დისციპლინური წარმოება

კერძო აღმასრულებელს მის მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისროს:

- საყვედური;
- ჯარიმა (100-დან 10,000 ბულგარულ ლევამდე);[32]
- გაფრთხილება უფლებამოსილების შესაძლო შეჩერების თაობაზე;
- უფლებამოსილების შეჩერება **3 თვიდან 5 წლამდე** ვადით.[33]

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს **ექვს თვეს** დარღვევის აღმოჩენიდან, მაგრამ არაუმეტეს ორ წელს დარღვევიდან.[34] დისციპლინურ დარღვევაზე წარმოება იწყება **იუსტიციის სამინისტროს** მოთხოვნით ან კერძო აღმასრულებელთა პალატის გადაწყვეტილებით. [35] ორგანო, რომლის

---

[26] იქვე.
[27] მუხლი 40, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[28] იქვე.
[29] მუხლები 39 და 40, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[30] მუხლი 41, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[31] იქვე.
[32] ჯარიმა კერძო აღმასრულებელთა პალატის სასარგებლოდ გადაიხდევინება.
[33]მუხლები 67 და 68, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[34] მუხლი 69, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[35] მუხლი 70, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

წარდგინებითაც დაიწყო დისციპლინური წარმოება, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ თავად კერძო აღმასრულებელს აცნობოს, ხოლო კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, შეტყობინების მიღებიდან **შვიდი დღის ვადაში** საკუთარი მოსაზრებები წარუდგინოს დისციპლინური წარმოების განმხილველ ორგანოს – **დისციპლინურ კომიტეტს**.[36] დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე ნიშნავს განხილვის დღეს, განხილვაზე იწვევს პალატის წარმომადგენელ კერძო აღმასრულებელს და **იუსტიციის სამინისტროს** წარმომადგენელ კერძო აღმასრულებელს.[37]

დისციპლინური წარმოება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ:

- გავიდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა;
- კერძო აღმასრულებელი გარდაიცვალა;
- კერძო აღმასრულებლის მიმართ უკვე დაწყებულია წარმოება იმავე დარღვევის გამო.[38]

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება საკასაციო სასამართლოში გასაჩივრდეს კერძო აღმასრულებლის, კერძო აღმასრულებელთა პალატის ან **იუსტიციის მინისტრის** მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან **14 დღის** ვადაში.[39]

სერბეთი

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი

სერბეთში კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი ევროპის საბჭოს და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციის საფუძველზე 2012 წლის 17 მაისს შეიქმნა, **აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ სერბეთის კანონის საფუძველზე**.[40] კერძო აღმასრულებლის იურისდიქცია თავისი სააღსრულებო კომპეტენციაში არსებული ტერიტორიის სასამართლო იურისდიქციას ემთხვევა.[41] კანონმდებელი განსაზღვრავს ყოველ 25000 მცხოვრებზე ერთი კერძო აღმასრულებლის დანიშვნას, რასაც საფუძვლად უდევს ქვეყანაში

[36] იქვე.
[37] მუხლი 71, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[38] იქვე.
[39] მუხლი 73, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.
[40] სერბეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები, გვ. 1, ხელმისაწვდომია: ვებგვერდზე.
[41] მუხლი 4, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

საოლქო სასამართლოების დანაწილების პრინციპი ტერიტორიული ოლქების მიხედვით.[42] შესაბამისად, აღმასრულებელთა საერთო ოდენობა სახელმწიფოში, დაახლოებით, 334-ს უნდა შეადგენდეს,[43] თუმცა, ეს რიცხვი 130-ით შემოიფარგლება – სერბეთის ზოგიერთ რეგიონს არცერთი კერძო აღმასრულებელი არ ჰყავს, ხოლო კერძო აღმასრულებელთა დიდი ნაწილი ბელგრადისა და სერბეთის სხვა რამდენიმე დიდი ქალაქის ირგლივ არის კონცენტრირებული, რომლის მიზეზადაც შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ სასამართლო **იუსტიციის სამინისტროს** მოთხოვნით აცხადებს აღმასრულებელთა კონკურსს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიულ ერთეულებზე.[44] სერბეთში კერძო აღმასრულებლის პარალელურად სასამართლო აღმასრულებლის ინსტიტუტი მოქმედებს, რომელიც, ასევე, ტერიტორიული ოლქის სასამართლოს იურისდიქციაზეა მიბმული.[45]

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის უპირატესობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მათ მიერ აღსრულება გაცილებით სწრაფად ხორციელდება, ვიდრე სასამართლო აღმასრულებლების მიერ.[46] კერძო აღმასრულებელთა მიერ საქმეების აღსრულების მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს, სასამართლო აღმასრულებლების კი მხოლოდ 5%-ით შემოიფარგლება.[47]

დანიშვნა და ზედამხედველობა

სერბეთში კერძო აღმასრულებელთა საქმიანობაზე ზედამხედველობას **იუსტიციის სამინისტრო** და კერძო აღმასრულებელთა პალატა ახორციელებენ.[48] **იუსტიციის სამინისტრო** უფლებამოსილია:

- მოახდინოს კერძო აღმასრულებლის დოკუმენტების/ჩანაწერების შემოწმება;
- მოსთხოვოს კერძო აღმასრულებელს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის წარდგენა;
- გამოითხოვოს ინფორმაცია კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ შესაბამისი ორგანოებისა და ორგანიზაციებისაგან.[49]

იუსტიციის სამინისტრო, ასევე, უფლებამოსილია, დაადგინოს: ა) ის ზომები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს მის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციასთან

[42] მუხლი 315, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[43] სერბეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები, გვ. 1.
[44] იქვე.
[45] მუხლი 5, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[46] სერბეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები, გვ. 2, ხელმისაწვდომია: ვებგვერდზე
[47] იქვე.
[48] მუხლები 346 და 347, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[49] მუხლი 346, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.

დაკავშირებით აღმოჩენილი შეუსაბამობის გამოსასწორებლად; ბ) ვადები, როცა უნდა გამოსწორდეს აღმოჩენილი შეუსაბამობები. **იუსტიციის სამინისტროს** უფლებამოსილებაში შედის, აგრეთვე, დისციპლინური წარმოების ინიცირება.[50]

აღმასრულებელთა პალატა ვალდებულია, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება წელიწადში ერთხელ მაინც განახორციელოს.[51] გარდა ამისა, პალატა, ასევე, უფლებამოსილია, შემოწმება აღსრულებასთან დაკავშირებული წარმოების მხარეების მოთხოვნის საფუძველზე ჩაატაროს. კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმების მიზნით პალატა უფლებამოსილია, შეამოწმოს კერძო აღმასრულებლის დოკუმენტები, ჩანაწერები და არქივი.[52] **იუსტიციის სამინისტროს** მსგავსად, პალატა უფლებამოსილია, დაადგინოს ის ზომები, რაც უნდა ჩატარდეს შეუსაბამობის გამოსასწორებლად; ვადები, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გამოსწორება.[53]

სერბეთის ყველა კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, გახდეს პალატის წევრი.[54] თავად პალატა არაკომერციულ იურიდიულ პირს წარმოადგენს, რომლის ზედამხედველობაც **იუსტიციის სამინისტროს** ევალება.[55] კერძო აღმასრულებლის ვაკანტური თანამდებობა **იუსტიციის სამინისტროს** მიერ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე უნდა შეივსოს.[56] კომისიის შემადგენლობას, რომელიც კონკურსს ატარებს, **იუსტიციის მინისტრი** ნიშნავს და მასში პალატის მიერ შეთავაზებული კერძო აღმასრულებლები უნდა შედიოდნენ.[57] კერძო აღმასრულებელს საქმიანობის განხორციელება შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ისე გაერთიანების შექმნის გზით.[58]

ყველა კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, ერთი ან მეტი თანაშემწე აღმასრულებელი დაიქირაოს, რომელიც იმავე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც კერძო აღმასრულებელი.[59] აღმასრულებლის თანაშემწეს შეუძლია, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც კერძო აღმასრულებელი ასრულებს, ხოლო მის მიერ გამოწვეულ ზიანზე პასუხს აგებს როგორც თავად თანაშემწე, ისე კერძო აღმასრულებელი, რომელმაც იგი დაიქირავა.[60] თანაშემწე

---

[50] იქვე.
[51] მუხლი 347, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[52] იქვე.
[53] იქვე.
[54] მუხლი 338, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[55] იქვე.
[56] მუხლი 315, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[57] იქვე.
[58] მუხლი 312, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[59] მუხლი 333, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[60] იქვე.

ვალდებულია, გაიაროს პროფესიული ტრენინგები, დისციპლინური კომიტეტის წინაშე პასუხი აგოს ჩადენილი დარღვევისთვის, დაექვემდებაროს შემოწმებას **იუსტიციის სამინისტროს** და პალატის მხრიდან და ა.შ.[61] თანაშემწე აღმასრულებელს **იუსტიციის მინისტრი** ნიშნავს აღნიშნულის თაობაზე პალატის მოსაზრების მიღების შემდეგ. [62] საქმიანობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, კერძო აღმასრულებელმა, რომელსაც არ ჰყავს თანაშემწე, უნდა მიმართოს **იუსტიციის სამინისტროს,** პალატას და სასამართლოს, რომლის იურისდიქციაშიც იგი თავის საქმიანობას ახორციელებს, რის შემდეგაც პალატის თავმჯდომარე აღმასრულებლის თანაშემწეს ნიშნავს.[63] თანაშემწის გარდა, კერძო აღმასრულებელს, ასევე, შეუძლია მესამე პირთა დაქირავება, რომლებიც მის საქმიანობაში მისი სახელით ჩაერთვებიან.[64] დაქირავებული მესამე პირების მიერ გამოწვეულ ზიანზე პასუხს კერძო აღმასრულებელი აგებს.[65]

დისციპლინური წარმოება

კერძო აღმასრულებელს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ:

- დადგინდა, რომ იგი ვეღარ აკმაყოფილებს კერძო აღმასრულებლისთვის დაწესებულ მოთხოვნებს;
- იგი ჩაერთო კომერციულ, საადვოკატო, სანოტარო ან კერძო აღმასრულებლობასთან შეუთავსებელ სხვა საქმიანობაში;
- არსებითი სხვაობა არსებობს მის მიერ დეკლარაციაში ასახულ ქონებასა და იმ ქონებას შორის, რომელსაც იგი ფაქტობრივად ფლობს;
- მას დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით საქმიანობის განხორციელება აეკრძალა;
- დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- არ ესწრება პროფესიულ ტრენინგებს საპატიო მიზეზის გარეშე.[66]

სერბეთში კერძო აღმასრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს, თუ:

- იგი განზრახ მალავს კერძო აღმასრულებლად დანიშვნის ხელშემშლელ გარემოებას;

[61] მუხლი 333, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[62] მუხლი 334, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[63] მუხლი 335, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[64] მუხლი 336, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[65] იქვე.
[66] მუხლი 321, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.

- ეწევა საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია კერძო აღმასრულებლის რეპუტაციასთან, ღირსებასა და დამოუკიდებლობასთან;
- მონაწილეობს აღსრულებაში თვითაცილების საფუძვლების არსებობის და მათ შესახებ ცოდნის შემთხვევაში;
- არღვევს კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნას;
- ამეტებს კანონით მისთვის დადგენილ უფლებამოსილებებს;
- ადგენს კანონით დადგენილისგან განსხვავებულ გადასახდელებს;
- არ ეწევა საქმიანობას სახელმწიფო ენაზე;
- ფლობს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამო საკუთრებას ან სახსრებს;
- საპატიო მიზეზის გარეშე უარს განუცხადებს პალატას კერძო აღმასრულებლის თანაშემწის ფუნქციების განხორციელებაზე;
- არ იხდის საწევრო შენატანებს პალატაში;
- საპატიო მიზეზის გარეშე პროფესიულ ტრენინგებს აცდენს;
- სხვაგვარად არღვევს კანონით დადგენილ ვალდებულებებს.[67]

სისხლის ან სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამავე ან სხვა დარღვევებზე კერძო აღმასრულებლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს.[68]

კერძო აღმასრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

- საყვედური;
- საყვედურის საჯაროდ გამოცხადება;
- ჯარიმა 50,000-დან 500,000 სერბულ დინარამდე;[69]
- უფლებამოსილების განხორციელების აკრძალვა .[70]

აღნიშნულის გარდა, **იუსტიციის სამინისტროს** შეუძლია, კერძო აღმასრულებელს უფლებამოსილება დისციპლინური წარმოების განხორციელების ვადით შეუჩეროს.[71]

კერძო აღმასრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს პალატის დისციპლინური კომიტეტი განიხილავს, რომელიც **იუსტიციის მინისტრის** მიერ დამტკიცებული ხუთი წევრისგან უნდა შედგებოდეს, რომელთაგან ორს – პალატის მიერ კერძო აღმასრულებელთა რიცხვიდან შერჩეული პირები, ერთს – იუსტიციის

[67] მუხლი 350, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[68] მუხლი 349, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[69] ჯარიმა სერბეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის სასარგებლოდ გადაიხდევინება.
[70] მუხლი 351, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[71] იქვე.

უმაღლესი საბჭოს მიერ აღსრულების საქმეებში გამოცდილების მქონე მოსამართლე, და ორს – **იუსტიციის სამინისტროს** თანამშრომელი წარმოადგენს.[72] დისციპლინური კომიტეტის წევრები **ოთხი წლის** ვადით აირჩევიან, ხოლო უფლებამოსილებათა ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია მათი ხელახალი დანიშვნა.[73] დისციპლინურ კომიტეტს დისციპლინური წარმოების დაწყების თხოვნით შეიძლება მიმართონ **იუსტიციის სამინისტრომ,** იმ სასამართლოს თავმჯდომარემ, რომლის იურისდიქციაშიც მოქმედებდა სავარაუდო დარღვევის ჩამდენი კერძო აღმასრულებელი, და პალატის თავმჯდომარემ.[74] კერძო აღმასრულებელს, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, საკუთარი მოსაზრებების წარდგენის საშუალება უნდა მიეცეს.[75] დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება ადმინისტრაციული დავის დაწყებით არის შესაძლებელი.[76] დისციპლინური წარმოების დაწყების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს დარღვევის აღმოჩენიდან **ექვს თვეს,** ხოლო დარღვევის ჩადენიდან – **ერთ წელს**.[77] დისციპლინური წარმოების ჩატარების ვადა ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს.[78]

ლიტვა

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შექმნის მოკლე მიმოხილვა, დრო და მიზანი

ლიტვაში სახელმწიფო აღმასრულებლების ინსტიტუტი კერძო აღმასრულებლების ინსტიტუტმა ჩაანაცვლა 2002 წელს. მისი შექმნის მიზანს წარმოადგენდა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება. შედეგად, თუ 2002 წლამდე სახელმწიფო აღმასრულებლებზე ლიტვის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 10 მილიონი ლიტვური ლიტი გამოიყოფოდა, დღეს ამ ინსტიტუტის არსებობა სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯებს აღარ მოითხოვს.[79] ლიტვაში კერძო აღმასრულებელთა ინსტიტუტის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, თუ სახელმწიფო აღმასრულებელთა აღსრულების ეფექტიანობა 5,5 პროცენტს შეადგენდა, დღეს კერძო აღმასრულებელთა

[72] მუხლი 352-354, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[73] მუხლი 354, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[74] მუხლი 355, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[75] იქვე.
[76] მუხლი 356, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[77] მუხლი 357, სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.
[78] იქვე.
[79] წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში - Republic of Lithuania: Financial Sector Assessment Program Update - Technical Note Insolvency and Creditor Rights Assessment, 6. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .

აღსრულების ეფექტიანობა 6-ჯერ მაღალია.[80] თუმცა, კერძო აღმასრულებლებთან დაკავშირებით მთავარ პრობლემად მათი მომსახურების მაღალი განაკვეთი სახელდება, რომელიც ამოსაღები თანხის 4-დან 20 პროცენტამდე შეადგენს.[81]

ლიტვაში აღმასრულებელთა საქმიანობას აღმასრულებლების შესახებ კანონი აწესრიგებს. აღმასრულებლების იურისდიქცია სასამართლოების იურისდიქციაზეა მიბმული, თუმცა, შესაძლოა, აღმასრულებელი ერთდროულად რამდენიმე სასამართლოს იურისდიქციის სფეროში მოქმედებდეს, რაც **იუსტიციის მინისტრის** მიერ განისაზღვრება.[82] ასევე, შესაძლებელია, ერთი სასამართლოს იურისდიქციის სფეროში რამდენიმე აღმასრულებელი მოქმედებდეს.[83] 2008 წლის მონაცემებით, ლიტვაში სულ 140 აღმასრულებელი მუშაობდა.[84]

დანიშვნა და ზედამხედველობა

ლიტვაში აღმასრულებელთა საქმიანობაზე ზედამხედველობას **იუსტიციის სამინისტრო** და აღმასრულებელთა პალატა ახორციელებენ.[85] გარდა ამისა, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ აღმასრულებლების საქმიანობის შეფასება ხორციელდება საქმიანობის შემფასებელი კომისიის მიერ.[86] კომისიის მოქმედების წესს **იუსტიციის მინისტრი** განსაზღვრავს. საქმიანობის შემფასებელი კომისია სულ ხუთი წევრისგან შედგება, რომელთაგან სამი, თავმჯდომარის ჩათვლით, **იუსტიციის მინისტრის** მიერ ინიშნება, ხოლო ორი – აღმასრულებელთა პალატის მიერ.[87]

აღმასრულებლებს **იუსტიციის მინისტრი** ამტკიცებს ღია კონკურსის საფუძველზე.[88] ღია კონკურსი აღმასრულებლის თანამდებობის დასაკავებლად **იუსტიციის მინისტრის** მიერ ცხადდება და მოიცავს საკვალიფიკაციო გამოცდებს.[89] ღია კონკურსს აღმასრულებელთა ღია კონკურსის კომისია ატარებს.[90] კომისიის შექმნას და მოქმედების წესს **იუსტიციის მინისტრი** ამტკიცებს.[91] აღმასრულებელთა ღია კონკურსის კომისია უნდა შედგებოდეს შვიდი წევრისგან, რომელთაგან სამს, თავმჯდომარის ჩათვლით, **იუსტიციის მინისტრი** ნიშნავს, სამს – ლიტვის

[80] საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში, 6.
[81] საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში, 7.
[82] მუხლი 26, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე
[83] მუხლი 26, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[84] საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში, 6.
[85] მუხლი 46, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[86] მუხლი 39, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[87] იქვე.
[88] მუხლები 2 და 6, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[89] მუხლი 6, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[90] იქვე.
[91] იქვე.

აღმასრულებელთა პალატა და ერთს – ლიტვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.[92] **იუსტიციის მინისტრის** მიერ შერჩეული სამი წევრიდან ერთს მიღებული უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ეკონომიკაში, ხოლო კომისიის მიერ შერჩეული სამი წევრიდან ერთს – ფსიქოლოგიაში.[93] ლიტვაში ყველა აღმასრულებელი ვალდებულია, გახდეს ლიტვის აღმასრულებელთა პალატის წევრი.[94]

აღმასრულებელს უფლებამოსილება უწყდება გარდაცვალების ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში.[95] აღმასრულებელი თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს:

- საკუთარი ინიციატივით;
- ლიტვის მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში;
- თუ, სამედიცინო კომისიის დასკვნით, ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია აღმასრულებლის საქმიანობის განხორციელება;
- თუ დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან დისციპლინური სახდელის სახით თანამდებობიდან გათავისუფლება განესაზღვრა;
- საქმიანობის შეფასების არასათანადო შედეგის შემთხვევაში;
- 65 წლის შესრულებისას, თუ მას უფლებამოსილება 70 წლამდე არ გაუგრძელდა **იუსტიციის მინისტრის** ბრძანებით;
- თანამდებობაზე დანიშვნიდან **ორი თვის ვადაში** ფიცის წარმოთქმაზე უარის თქმის შემთხვევაში;
- თუ ისეთი გარემოების შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც მის თანამდებობაზე არდანიშვნის საფუძველი გახდებოდა.[96]

აღმასრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლება **იუსტიციის მინისტრის** ბრძანებით ხორციელდება,[97] რომელიც შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.[98]

აღმასრულებელი უფლებამოსილია, დაიქირაოს თანაშემწე, რომელიც უნდა იყოს ლიტვის მოქალაქე, მაღალი მორალური თვისებების მქონე, და ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება.[99] თანაშემწის დანიშვნის პროცედურას **იუსტიციის**

---

[92] მუხლი 6, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[93] იქვე.
[94] მუხლი 45, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[95] მუხლი 12, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[96] იქვე.
[97] იქვე.
[98] იქვე.
[99] მუხლი 28, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.

მინისტრი განსაზღვრავს, ხოლო უარი პირის თანაშემწედ დანიშვნაზე შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.[100] აღმასრულებლის თანაშემწე უფლებამოსილია, აღმასრულებლის სახელით განახორციელოს მისი საქმიანობა.[101] ლიტვის კანონმდებლობა, აღმასრულებლის მიერ საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, არ ითვალისწინებს აღნიშნული საქმიანობის მისი დამხმარის მიერ ავტომატურად განხორციელების შესაძლებლობას. კერძოდ, თუ აღმასრულებელს ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია საქმიანობის განხორციელება, მან აღნიშნულის თაობაზე **იუსტიციის მინისტრს** და აღმასრულებელთა პალატას უნდა მიმართოს, რის შემდეგაც მის შემცვლელ პირს **იუსტიციის მინისტრი** ნიშნავს.[102] ამავე დროს, თუ აღმასრულებელი საქმიანობის განხორციელებას ვერ შეძლებს, მას შეუძლია, **იუსტიციის სამინისტროს** რეკომენდაციით მიმართოს კონკრეტული აღმასრულებლის მის შემცვლელად დანიშვნის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაინიშნოს **14 დღის ვადით**,[103] ხოლო ამგვარი რეკომენდაციის არარსებობის დროს შემცვლელად შესაძლოა, აირჩეს კერძო აღმასრულებელი იმავე ოფისიდან ან იმავე, ან მიმდებარე ტერიტორიულ ოლქში დაინიშნოს უკვე მოქმედი აღმასრულებელი.[104] ამ პერიოდის განმავლობაში გამოწვეული ზიანისთვის შემცვლელი აგებს პასუხს.[105]

დისციპლინური წარმოება

ლიტვაში კერძო აღმასრულებლის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მის მიერ აღმასრულებლების შესახებ ლიტვის კანონის, აღსრულების პროცედურის, აღმასრულებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ან სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში.[106] დისციპლინური წარმოება აღმასრულებლის ან აღმასრულებლის თანაშემწის წინააღმდეგ იწყება **იუსტიციის მინიტრის** ან ლიტვის აღმასრულებელთა პალატის მიმართვის საფუძველზე.[107] დისციპლინური წარმოება უნდა დაიწყოს დარღვევის აღმოჩენიდან **სამი თვის ვადაში,** ხოლო დარღვევის დადგომიდან – **ერთი წლის ვადაში**, თავად წარმოების ხანგრძლივობა კი **30 დღეს** არ უნდა აღემატებოდეს.[108] აღმასრულებლის ან მისი თანაშემწის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება, მიუხედავად იმისა, პირს დაეკისრა თუ არა

[100] იქვე.
[101] მუხლი 30, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[102] მუხლი 34, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[103] მუხლი 36, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[104] იქვე.
[105] იქვე.
[106] მუხლი 13, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[107] იქვე.
[108] მუხლი 13, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.

იმავე ან სხვა დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[109] აღმასრულებელზე ან აღმასრულებლის თანაშემწეზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს აღმასრულებელთა ღირსების სასამართლო (the Bailiffs' Court of Honour) განიხილავს **იუსტიციის მინისტრის** მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით.[110] აღმასრულებლის/აღმასრულებლის დამხმარის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

- გაფრთხილება;
- საყვედური;
- საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა **ექვს თვემდე ვადით;**
- დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.[111]

აღმასრულებელს ან აღმასრულებლის თანაშემწეს დამატებით შეიძლება დაეკისროთ დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა.[112]

აღმასრულებელთა ღირსების სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ვილნიუსის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდეს აღმასრულებლისთვის ან აღმასრულებლის დამხმარისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან **30 დღის ვადაში.**[113]

აღმასრულებელთა ღირსების სასამართლო ხუთი წევრისგან შედგება, რომელთაგან ორი აირჩევა აღმასრულებელთა პალატის მიერ (კერძო აღმასრულებელთა საერთო შეხვედრაზე), ორს **იუსტიციის მინისტრი** ნიშნავს, ხოლო ერთს – ლიტვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.[114] ამასთან, აღმასრულებელთა ღირსების სასამართლოს ყველა წევრი აღმასრულებელთა რიცხვიდან აირჩევა **ხუთი წლის ვადით,** ერთხელ გადარჩევის უფლებით.[115] აღმასრულებელთა ღირსების სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება, თუ მისი სამი წევრი მაინც შეირჩა.[116]

---

[109] იქვე.
[110] იქვე.
[111] მუხლი 15, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[112] იქვე.
[113] მუხლი 14, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[114] მუხლი 49, ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[115] იქვე.
[116] იქვე.

მოლდოვა

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შექმნის მოკლე მიმოხილვა, დრო და მიზანი

2010 წლიდან მოლდოვაში მხოლოდ კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი მოქმედებს. [117] კერძო აღმასრულებლების სისტემაზე გადასვლა აღსრულების ეფექტიანობის გაზრდის და სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით იყო განპირობებული.[118]

2010 წლის მონაცემებით, მოლდოვაში სულ 177 კერძო აღმასრულებელი მოქმედებდა.[119] აღმასრულებლებთან დაკავშირებულ საკითხებს **„აღმასრულებლების შესახებ“ კანონი** არეგულირებს. აღმასრულებლების იურისდიქცია ერთი ან რამდენიმე სასამართლოს იურისდიქციაზეა მიბმული.[120] ყოველ 22 000 მცხოვრებზე ერთი აღმასრულებელი უნდა დაინიშნოს, თუმცა, ერთ სასამართლო იურისდიქციაში, სულ მცირე, ორი აღმასრულებელი მაინც უნდა მოქმედებდეს.[121]

დანიშვნა და ზედამხედველობა

მოლდოვაში კერძო აღმასრულებელთა საქმიანობაზე ზედამხედველობას **იუსტიციის სამინისტრო** ახორციელებს.[122] აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდება, ხოლო ახლად დანიშნული აღმასრულებლის შემთხვევაში, შემოწმება პირველი წლის ბოლოსაც ტარდება. [123] შემოწმების ფარგლებში აღმასრულებელი ვალდებულია, მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტზე უზრუნველყოს შესაბამისი პირების წვდომა, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებშიც კონფიდენციალური ინფორმაციაა დაცული.[124]

ყველა აღმასრულებელი ვალდებულია, გახდეს აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის წევრი.[125] პირმა, რომელსაც კერძო აღმასრულებლობა სურს, სალიცენზიო კომისიის მიერ გამართულ კონკურსში უნდა მიიღოს მონაწილეობა.[126] კონკურსის ჩატარების წესი და კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები **იუსტიციის მინისტრის**

---

[117] წყარო: ევროკომისიის ანგარიში მართლმსაჯულების ეფექტიანობის შესახებ, ევროპული სასამართლო სისტემები, (European Commission for the Efficiency of Justice-ის (CEPEJ) Report) European Judicial Systems, 2012, (შემდგომში 'CEPEJ-ს ანგარიში') გვ. 330, 334, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

[118] წყარო: მოლდოვას იუსტიციის მინისტრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .

[119] CEPEJ-ს ანგარიში, 333.

[120] მუხლი 26, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

[121] მუხლი 16, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

[122] მუხლი 33, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

[123] იქვე.

[124] იქვე.

[125] მუხლი 40, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

[126] მუხლი 10, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

ბრძანებით განისაზღვრება, რომელსაც იგი აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის წარდგინების საფუძველზე იღებს.[127] სალიცენზიო კომისია **იუსტიციის მინისტრის** მიერ იქმნება და შვიდი წევრისგან შედგება: აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის მიერ შერჩეული ოთხი წევრი; **იუსტიციის სამინისტროს** წარმომადგენელი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული მოსამართლე და აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის მიერ შერჩეული სამართლის ლექტორი.[128]

აღმასრულებლის უფლებამოსილება ჩერდება, თუ:

- თუ იგი არჩევით თანამდებობას ან აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის გენერალური მდივნის პოზიციას დაიკავებს ამ თანამდებობის დაკავების ვადით;
- ორსულობასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით შვებულების გამოყენების მოთხოვნით მიმართვის საფუძველზე **3 წლის ვადით;**
- შრომისუუნარობის შემთხვევაში, თუ ის ზედიზედ 4 თვის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ არ აღემატება ერთ წელიწადს;
- კანონის არსებითი დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებამდე;
- აღმასრულებელთა ეროვნული კავშირისთვის გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, მის სრულად დაფარვამდე, თუმცა, არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- თუ მას სასამართლო განაჩენით აღკვეთის ღონისძიების სახედ თავისუფლების შეზღუდვა შეეფარდება.[129]

აღმასრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ბრძანებას **იუსტიციის მინისტრი** იღებს აღმასრულებლის ან აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის მიმართვის საფუძველზე შემდეგი გარემოებების არსებობისას:[130]

- აღმასრულებლის პირადი განცხადების გამო;
- 65 წლის ასაკის მიღწევისას;
- გარდაცვალების შემთხვევაში;
- თუ ის არ აკმაყოფილებს კერძო აღმასრულებლისთვის დაწესებულ მოთხოვნებს;
- საქმიანობის შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია ხანგრძლივი ავადმყოფობით ან სამსახურის ხშირი გაცდენით. [131]

---

[127] იქვე.
[128] იქვე.
[129] მუხლი 18, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[130] მუხლი 19, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

იუსტიციის მინისტრის აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.[132] აღმასრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მინისტრის ბრძანებით მას შეიძლება მიენიჭოს წარმოებაში არსებული საქმეების დასრულების უფლება, რაც ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს.[133]

აღმასრულებელს შეუძლია, დაიქირაოს თანაშემწეები და სხვა პირები, რომლებიც მას საქმიანობის განხორციელებაში დაეხმარებიან.[134] ურთიერთობები აღმასრულებელსა და აღნიშნულ პირებს შორის ხელშეკრულებით წესრიგდება.[135]

დისციპლინური წარმოება

მოლდოვაში კერძო აღმასრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

- პროფესიული საიდუმლოების დარღვევა;
- კერძო აღმასრულებლის საქმიანობასთან შეუთავსებელობა;
- კანონმდებლობის დარღვევა;
- პროფესიული ღირსების ან მორალის შეურაცხმყოფელი ქმედების ჩადენა;
- აღსრულების პროცედურასთან დაკავშირებული საქმიანობის შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება;
- აღსრულებაზე განზრახ უარის თქმა;
- საპატიო მიზეზის გარეშე სამსახურში ზედიზედ ორი დღის განმავლობაში არყოფნა.[136]

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე ჩადენილი დარღვევის პროპორციული უნდა იყოს. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

- გაფრთხილება;
- საყვედური;
- ჯარიმა;
- უფლებამოსილების შეჩერება;
- ლიცენზიის გაუქმება.[137]

---

[131] მუხლი 19, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[132] იქვე.
[133] იქვე.
[134] მუხლები 25 და 32, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[135] მუხლები 25 და 32, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[136] მუხლი 21, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[137] მუხლი 24, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

ჯარიმის გადახდა ხდება აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის სასარგებლოდ, ხოლო 30 დღის ვადაში მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, აღმასრულებელს საქმიანობის განხორციელების უფლება უჩერდება მის მიერ ჯარიმის სრულად გადახდამდე.[138] დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობა შეადგენს **ექვს თვეს** დარღვევის აღმოჩენიდან და **ერთ წელს** მისი ჩადენის მომენტიდან. [139] დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.[140]

დისციპლინური კომიტეტი **იუსტიციის სამინისტროს** მიერ იქმნება და დისციპლინურ წარმოებას **იუსტიციის მინისტრის,** აღმასრულებელთა ეროვნული კავშირის ან აღსრულების პროცესის მხარეების [141] და სხვა პირთა განაცხადების საფუძველზე იწყებს. დისციპლინური კომიტეტის წევრებს **იუსტიციის მინისტრი** ამტკიცებს **ოთხი წლის** ვადით. [142] კომიტეტი ცხრა წევრისგან შედგება: სამი აღმასრულებლისგან, რომლებსაც აღმასრულებელთა ეროვნული კავშირი ნიშნავს; **იუსტიციის სამინისტროს** სამი წარმომადგენლისგან; მოსამართლისგან, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს; აკადემური წრეების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან. [143] წარმომადგენლები აკადემიური წრიდან და სამოქალაქო სექტორიდან **იუსტიციის სამინისტროს** მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე აირჩევიან.[144]

დისციპლინური კომიტეტი დასაშვებობის საკითხს განცხადების შესვლიდან **ხუთი დღის** ვადაში წყვეტს, ხოლო საქმის განხილვამდე, სულ მცირე, **თხუთმეტი დღით ადრე** დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია, განცხადების ასლი საქმის მასალებთან ერთად აღმასრულებელს გადაუგზავნოს.[145]

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ სხდომას მისი წევრების ორი მესამედი მაინც ესწრება, ხოლო გადაწყვეტილებებს უბრალო უმრავლესობით იღებს.[146]

---

[138] იქვე.
[139] იქვე.
[140] მუხლი 24, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[141] მუხლი 22 (1), მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[142] მუხლი 22, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[143] იქვე.
[144] იქვე.
[145] მუხლი 23, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.
[146] მუხლი 22, მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ.

დიდი ბრიტანეთი

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი

დიდ ბრიტანეთში არსებობს ორი სახის აღმასრულებლის ინსტიტუტი: ეროვნული და კერძო. ეს უკანასკნელი დღეს მოქმედი სახით ფუნქციონირებს 2004 წლის 1 აპრილიდან. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დაარსების ძირითად მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და ფიზიკური თუ იურიდიული პირის დავალიანებების დაფარვის ეფექტიანი სისტემის შექმნა.

დიდ ბრიტანეთში 2004 წლის 1 აპრილიდან არსებობს ყველა სერტიფიცირებული აღმასრულებლის რეესტრი (certificated bailiff register), რომელიც განთავსებულია **იუსტიციის სამინისტროს** საიტზე. ამჟამად დარეგისტრირებულია 1 592 სერტიფიცირებული აღმასრულებელი. [147] მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობისათვის, ასევე, არსებობს უმაღლესი სასამართლოს აღმასრულებლების ცალკე ცნობარი (The Directory of High Court Enforcement Officers).[148]

დიდ ბრიტანეთში საქმიანობის სფეროს მიხედვით განასხვავებენ 4 ტიპის აღმასრულებლებს:

კერძო აღმასრულებელი (სპეციალური სერტიფიკატის გარეშე) – მოვალისთვის ვალის გადახდევინებაზე მოლაპარაკებების წარმოების გარდა არ არის აღჭურვილი სხვა უფლებებით (მაგ.: არ შეუძლია ქონების ჩამორთმევა და მისი გაყიდვა). ინიშნება მოვალის მიერ.[149]

სერტიფიცირებული კერძო აღმასრულებელი – საოლქო სასამართლოს მიერ ავტორიზებული აღმასრულებელი, რომელიც უფლებამოსილია, უზრუნველყოს კომერციული ფართის იჯარით აღებასთან დაკავშირებული დავალიანების გადახდევინება. ამ ჯგუფში შემავალ აღმასრულებლებს, ასევე, შეუძლიათ კერძო სექტორში წარმოშობილი სხვა დავალიანებების გადახდევინება. მათ კომპეტენციაში შედის საგადასახადო დავალიანებების, მანქანის არასწორი პარკირებისათვის გადაუხდელი ჯარიმების, არასრულწლოვნის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სამეფო კარის შემოსავლების ამოღება.[150]

---

[147] წყარო: სერტიფიცირებული აღმასრულებლების სარეგისტრაციო პორტალი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .
[148] წყარო: დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .
[149] წყარო: ბრიტანელი კერძო აღმასრულებლების კომპანია, ელექტრონული მისამართი ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე.
[150] იქვე.

საოლქო სასამართლოს აღმასრულებელი – სახელმწიფო მოხელე, რომელიც სამეფო კარის სასამართლოებისა და ტრიბუნალის სამსახურის თანამშრომელია. ის აღასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებებს ფულადი ვალდებულებების დაკისრებისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით ან კერძო პირების დავალიანებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს 5000 ფუნტ სტერლინგზე ნაკლები თანხის ოდენობით.[151]

უმაღლესი სასამართლოს აღსრულების ოფიცრები – აღასრულებენ იმავე ტიპის სასამართლო გადაწყვეტილებებს, რასაც – საოლქო სასამართლოს აღმასრულებლები. ისინი მოქმედებენ სააღსრულებო ბრძანების (writ of execution) ფარგლებში და აღასრულებენ უმაღლესი სასამართლოსთვის (High Court) აღსრულების განსახორციელებლად გადაცემულ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

კერძო აღმასრულებელსა და აღსრულების ეროვნულ სამსახურში მომუშავე აღმასრულებლებს შორის სხვაობა ანაზღაურებაშია. კერძო აღმასრულებლის ანაზღაურება დამოკიდებულია ამოღებული თანხის ოდენობაზე, მაშინ, როცა აღსრულების ეროვნულ სამსახურში არის ფიქსირებული განსაზღვრული ყოველთვიური სარგო.

დანიშვნა და ზედამხედველობა

კერძო აღმასრულებელი შეიძლება მუშაობდეს დამოუკიდებლად, კერძო სააღმსრულებლო კომპანიაში ან შედიოდეს სასამართლო სისტემაში, როგორც უმაღლესი სასამართლო აღსრულების ოფიცერი. შესაბამისად, მათი შრომის რეგულირების პირობები, მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის წესი თუ უფლება-მოვალეობები რეგულირდება განსხვავებული სახით.

აღმასრულებლისთვის დაწესებული პროფესიული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, როგორიცაა სპეციალური საგანაცხადო ფორმის შევსება, ნასამართლობის არქონა, სუფთა საკრედიტო ისტორია და აღმასრულებელთა შესახებ არსებული კანონმდებლობის ცოდნა, საოლქო სასამართლო აღმასრულებელს ანიჭებს კერძო აღმასრულებლის სერტიფიკატს. [152] სერტიფიკატის განახლება ხდება **ყოველ ორ წელიწადში.**[153] პროფესიულ სწავლებასა და ტრენინგების გავლას უზრუნველყოფს სამოქალაქო აღსრულების ასოციაცია და უმაღლესი სასამართლოს აღსრულების ოფიცერთა ასოციაცია.

---

[151] წყარო: დიდი ბრიტანეთის საკონსულტაციო ორგანიზაცია, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .
[152] წყარო: ბრიტანთის ეროვნული დასაქმების სამსახური, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .
[153] დიდი ბრიტანეთის საკონსულტაციო ორგანიზაცია.

დისციპლინური წარმოება

ნებისმიერი აღმასრულებელი თავის საქმიანობას უნდა ეწეოდეს კანონის ფარგლებში. მის მიმართ საჩივრის შემთხვევაში, თვით სამოქალაქო აღსრულების ზემოაღნიშნული პროფესიული ასოციაცია იკვლევს ფაქტებს და, სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში, აღმასრულებლის მიმართ იწყება სამართალწარმოების პროცესი.[154]

იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცა **აღმასრულებელთა ეროვნული სტანდარტები**[155] (National Standards for Enforcement Agents), რომელიც შემუშავებულია სამოქალაქო აღსრულების ასოციაციისა (Civil Enforcement Association CIVEA) და უმაღლესი სასამართლოს აღსრულების ოფიცერთა ასოციაციის მიერ (High Court Enforcement Officers Association HCEOA).

სტანდარტები გამიზნულია ყველა კერძო თუ საჯარო აღმასრულებლის მიერ გამოყენებისათვის და არეგულირებს ურთიერთობებს აღმასრულებელსა და მის დამქირავებელს შორის – კერძო აღმასრულებლის საქმიანობას, მათი ზედამხედველობის, ლიცენზიის გაცემის, დისციპლინური წარმოების საფუძვლებსა და დისციპლინურ ზომებს. [156] აღსანიშნავია, რომ სტანდარტები არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე, ის არ აწესებს პასუხისმგებლობის ზომებს, აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და ასახავს იმ მინიმალურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რასაც **იუსტიციის სამინისტრო** განუსაზღვრავს აღმასრულებლებს.[157]

ალბანეთი

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი

ალბანეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო აღსრულების სამსახური შეიქმნა 2001 წელს,[158] ხოლო კერძო აღმასრულებლების ინსტიტუტი - 2008 წლის 11 დეკემბერს კანონით **„კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ“,** [159] კანონი არეგულირებს კერძო აღმასრულებლის საქმიანობას, მათი ზედამხედველობის, ლიცენზიის გაცემის და გაუქმების წესებს, დისციპლინური წარმოების საფუძვლებსა და დისციპლინურ ზომებს.

---

[154] კერძო აღმასრულებელთა ეროვნული სტანდარტები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[155] კერძო აღმასრულებელთა ეროვნული სტანდარტები.
[156] შესავალი, კერძო აღმასრულებელთა ეროვნული სტანდარტები.
[157] შესავალი, კერძო აღმასრულებელთა ეროვნული სტანდარტები.
[158] მუხლი 3, კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[159] შესავალი, კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ.

კერძო აღმასრულებლების ზუსტ რაოდენობას არ უთითებს კანონი და ამ მხრივ არც სტატისტიკური მონაცემები მოიპოვება. ინფორმაცია კერძო აღმასრულებლებზე დაფიქსირებულია **იუსტიციის სამინისტროს** რეესტრში. კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ კანონი არ აკონკრეტებს, თუ რომელი საქმეების აღსრულებას ემსახურება ცალკეული აღმასრულებელი. მასში ზოგადად არის მითითება იმის შესახებ, რომ კერძო აღმასრულებელს, ისევე, როგორც სახელმწიფო აღსრულების სამსახურს, სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დებულებებით გათვალისწინებული საქმეების აღსრულება შეუძლია.[160]

დანიშვნა და ზედამხედველობა

კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს კერძო სასამართლო აღმასრულებელთა ეროვნული პალატა,[161] რომელიც, თავის მხრივ, შედგება გენერალური ასამბლეისა და მმართველი საბჭოსგან. პალატა არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი.[162]

ამასთან, **იუსტიციის მინისტრის** უფლება-მოვალეობებში შედის კერძო აღმასრულებლების ლიცენზიის გაცემა/გაუქმება, საქმიანობის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესამაბისობის უზრუნველყოფა და კერძო აღმასრულებლის მიერ კანონის დაცვა, ეთიკის კოდექსის მიღება, კერძო აღმასრულებლის წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოება და დისციპლინური ზომების მიღება, კერძო აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდების შემფასებელთა კომიტეტის დამტკიცება, კერძო აღმასრულებელსა და დაინტერესებულ მხარეს შორის ხელშეკრულების ტექსტის ნიმუშის დამტკიცება, ფინანსთა მინისტრთან ერთად კერძო აღმასრულებლის ანაზღაურების ოდენობის დადგენა და კერძო აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება.

იუსტიციის მინისტრის მიერ ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით გავლის შემდეგ, კერძო აღმასრულებლის მიერ თავისი საქმიანობის შესრულების დაწყებამდე, ის ვალდებულია, **იუსტიციის მინისტრის** ან მის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე დადოს ფიცი.[163]

---

[160] მუხლი 2, კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ .
[161] მუხლი 25, კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ.
[162] მუხლი 26, კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ.
[163] მუხლი 18, კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ.

დისციპლინური წარმოება

„კერძო სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს კერძო აღმასრულებლისთვის ლიცენზიის შეწყვეტისა და საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერების წესებს, რომლის თანახმადაც, კერძო აღმასრულებლისთვის საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ:

- პირადად განაცხადებს კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე უარს;
- აღიარებული იქნება ქმედუუნაროდ ან შეეზღუდება ქმედუნარიანობა;
- მის წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- მის მიმართ დაწყებულია გაკოტრების საქმისწარმოება;
- დისციპლინური ზომების ფარგლებში ჩამორთმეული აქვს ლიცენზია;
- შეჩერებული აქვს კერძო აღმასრულებლის საქმიანობის უფლება; როცა კერძო აღმასრულებელი თავისი სურვილით ან მინისტრის წარდგინებით დაინიშნება (ან აირჩევა) სახელმწიფო, ადმინისტრაციული ან საჯარო სამსახურის სხვა უფლებამოსილების შესასრულებლად, შესაბამისად, ხდება მისი, როგორც კერძო აღმასრულებლის, საქმიანობის უფლების შეჩერება დაკისრებული მოვალეობების ვადით. ამ ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში ლიცენზიის განახლებაზე მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, კერძო აღმასრულებელს შეუწყდება ლიცენზია.[164]

იუსტიციის მინისტრი საკუთარი ინიციატივით ან აღსრულების საქმისწარმოებაში მონაწილე მხარის საჩივრის საფუძველზე უფლებამოსილია, დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება კერძო აღმასრულებლის წინააღმდეგ ყოველი ინდივიდუალური დარღვევის შემთხვევაში, რისთვისაც ის აფუძნებს სადისციპლინო კომისიას. საქმისწარმოება უნდა დაიწყოს დარღვევის გამოვლენიდან **10 სამუშაო დღეში,** რის შესახებაც უნდა ეცნობოს იმ კერძო აღმასრულებელსაც, ვის მიმართაც დაწყებულია საქმისწარმოება, რათა ის გამოცხადდეს პროცესზე.[165]

სადისციპლინო კომიტეტი მოკვლევის დასრულების შემდეგ წარუდგენს **იუსტიციის მინისტრს** საბოლოო დასკვნას გამოსაყენებელი დისციპლინური ზომების გათვალისწინებით. თავის მხრივ, **იუსტიციის მინისტრი** ამ დასკვნის მიღებიდან **15 დღეში** უფლებამოსილია, კერძო აღმასრულებლის მიმართ გამოიყენოს

[164] მუხლი 21-22, კანონი ალბანეთის კერძო აღმასრულებლის სამსახურის შესახებ.
[165] მუხლი 51, კანონი ალბანეთის კერძო აღმასრულებლის სამსახურის შესახებ.

დისციპლინური ღონისძიება, გათვალისწინებული კერძო აღმასრულებლის სამსახურის შესახებ კანონის 54-ე მუხლში, თუ საქმისწარმოებისას დადგინდა, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი მისი მხრიდან დისციპლინურ გადაცდომას. [166]

კანონის იმავე მუხლში მოცემულია დისციპლინური ღონისძიებების ჩამონათვალი:

- ლიცენზიის გაუქმება და რეესტრიდან ამოშლა;
- ჯარიმა 30 000-დან 50 000-მდე ალბანური ლეკის ოდენობით;
- ლიცენზიის შეჩერება **სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.** [167]

დისციპლინური წარმოების ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრება დარღვევის აღმოჩენიდან 6 თვე და დარღვევის ჩადენიდან არაუგვიანეს **სამი წელი**. [168] დისციპლინური ღონისძიების სახით ჯარიმის გამოყენებისას კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჯარიმის სრულ გადახდამდე შეუჩერდება ლიცენზია.[169]

ესტონეთი

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი

2001 წელს ესტონეთში განხორციელებული სააღსრულებო რეფორმა დასრულდა კერძო, ე.წ. **შტატგარეშე აღმასრულებლების** სასარგებლოდ. დღეისათვის ქვეყანაში მხოლოდ კერძო აღმასრულებლების ინსტიტუტი მოქმედებს. [170] სისტემის ეფექტიანობის დამადასტურებელი იყო სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, რეფორმის შემდეგ აღსრულებული საქმეების რაოდენობა გაორმაგდა. [171] დღეისათვის ესტონეთის კანონმდებლობით განსაზღვრული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი აქტების იძულებით აღსრულებას უზრუნველყოფს აღმასრულებელთა და გაკოტრების რწმუნებულთა/მმართველთა

[166] იქვე.
[167] მუხლი 54, კანონი ალბანეთის კერძო აღმასრულებლის სამსახურის შესახებ.
[168] იქვე.
[169] მუხლი 56, კანონი ალბანეთის კერძო აღმასრულებლის სამსახურის შესახებ.
[170] წყარო: European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), ანგარიში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ევროპაში, გვ. 24-25 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[171] ალეკანდ ანელი, ესტონეთის უნივერსალური სააღსრულებო პროცედურა, ტარტუს უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე .

პალატა (Chamber of Bailiffs and Trustees in Bankruptcy).[172] პალატა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც 2010 წლის იანვარში შეიქმნა **აღმასრულებელთა კანონის საფუძველზე**.[173]

ესტონეთის **აღმასრულებელთა აქტის** თანახმად, აღმასრულებელი თავის ოფისს მართავს საკუთარი სახელით საჯარო სამართლის ნორმებით დადგენილი წესების შესაბამისად. ოფისის ემბლემის და ბეჭდის აღწერილობა, ისევე, როგორც მათი გამოყენების პროცედურა, დადგენილია **იუსტიციის მინისტრის** რეგულაციით.[174]

პალატა შედგება აღმასრულებელთა და გაკოტრების რწმუნებულთა კავშირებისაგან, რომელთა უფლებამოსილებაში შედის:

- პალატის წესდების მიღება;
- პალატის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- საწევრო მინიმუმის განსაზღვრა;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და სხვ.

დანიშვნა და ზედამხედველობა

აღმასრულებლის ოფისების რაოდენობა და მათი ტერიტორიული იურისდიქცია განისაზღვრება ესტონეთის **იუსტიციის მინისტრის** ბრძანებით. აღმასრულებლად შეიძლება დაინიშნოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც:

- თავისუფლად ფლობს ესტონურ ენას;
- გამოირჩევა მაღალი მორალური თვისებებით;
- აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ან სხვა შესაბამისი კვალიფიკაცია ესტონეთის განათლების აქტის მოთხოვნების გათვალისწინებით);
- აქვს აღმასრულებლის თანაშემწედ, ნოტარიუსად, მოსამართლედ ან რწმუნებულად (გაკოტრების საქმეებში) მუშაობის, სულ მცირე, ერთწლინი გამოცდილება, ან მუშაობდა პოზიციაზე, სადაც მოითხოვება უმაღლესი იურიდიული განათლება (რაც გულისხმობს არანაკლებ 5-წლიან განათლებას) და ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის გამოცდა.

პირი აღმასრულებლის თანამდებობაზე ინიშნება **იუსტიციის მინისტრის** მიერ **განუსაზღვრელი ვადით.**[175]

---

[172] წყარო: ესტონეთის აღმასრულებელთა და გაკოტრების რწმუნებულთა პალატა, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[173] ესტონეთის აღმასრულებელთა აქტი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
[174] მუხლი 2, ესტონეთის აღმასრულებელთა აქტი.
[175] აღმასრულებელთა აქტის მე-17 მუხლი. ამ მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე, ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ აღმასრულებლის თანამდებობაზე (განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი,

აღმასრულებელთა პროფესიულ საქმიანობას (ოფისის სამუშაო საათებს, აღმასრულებლის მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული შეზღუდვების დაცვა, დაკისრებული მოვალეობების შესრულება, სტატისტიკის და მოხსენებების წარდგენა და სხვ.) ზედამხედველობს **იუსტიციის სამინისტრო,** ხოლო აღმასრულებელთა პალატის წესდების, პალატის მიერ დანერგილი საუკეთესო პროფესიული პრაქტიკის და პალატის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებების იმპლემენტაციას ზედამხედველობს პალატის „ღირსების სასამართლო“ „court of honour”.[176]

ესტონეთის აღმასრულებელთა აქტის თანახმად, აღმასრულებლის მიმართ დაწესებულია შემდეგი შეზღუდვები:

- აღმასრულებელი არ უნდა ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმინობისა, ასევე, გაკოტრების საქმეში რწმუნებულის სახით მონაწილეობისა;
- არ უნდა ეწეოდეს ანაზღაურებად საქმიანობას საწარმოში;
- არ უნდა იყოს აქციონერი ან რაიმე კომერციული გაერთიანების წევრი, ასევე, საზედამხედველო ან მმართველობითი საბჭოს წევრი, რწმუნებული ან ლიკვიდატორი (ეს უკანასკნელი დასაშვებია სასამართლოს მიერ დანიშვნის შემთხვევაში);
- არ უნდა იყოს უცხოური საწარმოს ფილიალის დირექტორი;
- არ უნდა იყოს გაკოტრების კომიტეტის წევრი ან უძრავი ქონების იძულებითი ადმინისტრატორი.[177]

პალატას საქმიანობის ეფექტიან შესრულებას უზრუნველყოფს პალატის თავმჯდომარე, რომელიც ინიშნება პალატის ფარგლებში შექმნილი მმართველი კომიტეტის მიერ.

დისციპლინური წარმოება

აღმასრულებლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების განხილვასა და შესაბამისი ზომების მიღებას უზრუნველყოფს „ღირსების სასამართლო“, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს აღმასრულებლის (ან

მოსამართლის, ნოტარიუსის, ნაფიცი თარჯიმნის ან აღმასრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლებული პირი, საადვოკატო საქმიანობის უფლებაჩამორთმეული პირი, საჯარო სამსახურიდან დისციპლინური სამართალდარღვევის გამო გათავისუფლებული პირი, გაკოტრებული პირი და სხვ.).

[176] მუხლი 54, ესტონეთის აღმასრულებელთა აქტი.

[177] მუხლი 5, ესტონეთის აღმასრულებელთა აქტი.

გაკოტრების რწმუნებულის/მმართველის) ქცევასა და ქმედებებთან დაკავშირებით შესული საჩივრები. სასამართლო შედგება შვიდი წევრისაგან – სამი აღმასრულებელი, სამი რწმუნებული და **იუსტიციის სამინისტროს** მიერ დანიშნული ერთი პირი, რომლებიც აირჩევიან **ხუთი წლის** ვადით.

ესტონეთის აღმასრულებელთა აქტის თანახმად, დისციპლინურ სამართალდარღვევებში მოიაზრება:

- კანონმდებლობით, პალატის გადაწყვეტილებებით, პროფესიული ეთიკის შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება;
- აღიარებული მორალური სტანდარტების საწინააღმდეგო ქმედება ან ქმედება, რომელიც ამცირებს ნდობის ხარისხს აღმასრულებლის პროფესიისადმი, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას განხორციელდა თუ არა.[178]

სამართალდარღვევების ჩადენისას აღმასრულებელს შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სახდელი:

- საყვედური;
- ჯარიმა;
- თანამდებობიდან გათავისუფლება.

ამასთან, დამატებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება განისაზღვროს აღმასრულებლის მიერ პროფესიული მომსახურების გაწევის აკრძალვა **სამი წლით,** თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამგვარი მომსახურების გაწევა ხელს შეუშლის აღმასრულებლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების საჭიროებისამებრ განხორციელებას. დისციპლინური სახდელი აღმასრულებელს შეიძლება დაეკისროს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენიდან **სამი წლის** განმავლობაში. ეს ვადა ჩერდება დისციპლინური საქმისწარმოების განმავლობაში.[179]

აღმასრულებელზე დისციპლინური სახდელის დაკისრების უფლება აქვთ **იუსტიციის მინისტრს** და „ღირსების სასამართლოს“.

---

[178] მუხლი 56, ესტონეთის აღმასრულებელთა აქტი.
[179] მუხლი 57, ესტონეთის აღმასრულებელთა აქტი.

პორტუგალია

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვა, შექმნის დრო და მიზანი

2003 წლამდე სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და აღსრულებას დაქვემდებარებული სხვა საქმეების აღსრულების სამართლებრივი სისტემა რეგულირდებოდა პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსით, რომელსაც საჯარო აღმასრულებლები ახორციელებდნენ. [180] შესაბამისად, არ არსებობდა სხვა მარეგულირებელი კანონი და საქმეების აღსრულების ეფექტიანობა სრულად იყო დამოკიდებული მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის თანამშრომელთა მუშაობაზე და მოითხოვდა დროის დიდ რესურსს.[181]

2000-2001 წლებში პორტუგალიის **იუსტიციის სამინისტროს** მიერ განხორციელებული სამართლებრივი რეფორმის შედეგად შემოღებულ იქნა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, რაც **2003 წელს მთავრობის დადგენილებით** დარეგულირდა.[182]

2003 წლიდან 2009 წლამდე პორტუგალიაში აღსრულების 3 მექანიზმი არსებობდა: კერძო აღმასრულებელი (bailiffs and Private Enforcement Agents); მოსამართლე და სასამართლოს თანამშრომლები.

2008 წელს პარლამენტის მიერ გამოცემული აქტის (Decree Law #226/2008)[183] შედეგად (რომელიც ძალაში 2009 წელს შევიდა), განხორციელდა ცვლილებები – გამარტივდა აღსრულების მარეგულირებელი ნორმები, რაც მიმართული იყო სამი მიზნისკენ:

- აღსრულების პროცედურის გამარტივება (კერძო აღმასრულებელი ხელმძღვანელობს სასამართლო პროცედურებს, მოსამართლე მხოლოდ მაშინ ერთვება საქმეში, როცა ამას კანონი პირდაპირ მოითხოვს);
- აღსრულების ეფექტიანობის წახალისება (პროცესის ელექტრონიზაცია, ნაკლები ბიუროკრატია და მეტი გამჭვირვალობა, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის

---

[180] მუხლი 2, სამართალწარმოების შესახებ, პორტუგალიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

[181] წყარო: პორტუგალიის კერძო აღმასრულებლის როლი და სააღსრულებო ეფექტიანობის კომისიის კომპეტენცია, მე-7 საერთაშორისო სემინარი, კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე რუსეთსა და ევროკავშირში: თეორიული ანალიზი და პრაქტიკა, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე

[182] სამთავრობო გადაწყვეტილება Nr.38/2003, 8 მარტი, 2003 (Government Decree law .#38/2003)

[183] ბრძანება #226/2008 მიღებული იქნა 2008 წლის 20 ნოემბერს და ძალაში შევიდა 2009 წლის 31 მარტს. აქტის მიღება მოხდა პარლამენტის ერთიანი კონსენსუსის საფუძველზე, რომელიც ანიჭებდა ავტორიზაციის უფლებას პარლამენტის 2008 წლის 21 აპრილის #18/2008 ბრძანებას.

ეფექტიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა – ე. წ. აღსრულების პროცედურების ეფექტიანობის კომისია (commission for the efficiency of enforcement procedures (CPEE), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, მისი მთავარი ფუნქცია კი პორტუგალიაში კერძო აღმასრულებლების საქმიანობაზე ეფექტიანი დისციპლინური და საზედამხედველო ინსპექციის განხორციელებაა. რაც შეეხება შექმნის მთავარ მიზანს, აღსრულების პროცედურის ეფექტიანობის გაზრდა და, საჭიროების შემთხვევაში, კერძო აღმასრულებლებისთვის („solicitadores“) დამატებითი წესების შემუშავებაა);

- სამართალწარმოების გამარტივება (შეიქმნა აღსრულების პროცედურების საჯარო ნუსხა, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტით, სადაც მოცემულია 12.400 მოპასუხის ჩამონათვალი, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური სახსრები ვალების დასაფარავად).[184]

პორტუგალიაში **აღსრულების განმახორციელებელი ორგანოებია:** კერძო და სახელმწიფო აღმასრულებლები; მოსამართლე; სასამართლოს თანამშრომლები (კონკრეტულ შემთხვევებში) და კომისია აღსრულების პროცედურების ეფექტიანობისთვის, რომელიც ფუნქციონირებს **იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობით.**

2009 წლის ცვლილებების შედეგად აღსრულების სამართლებრივი სისტემა პორტუგალიაში გაიყო ორ ნაწილად: სახელმწიფო კრედიტებთან დაკავშირებულ აღსრულებას დაქვემდებარებული საკითხები რჩება მოსამართლის კომპეტენციაში; ხოლო ყველა სხვა კლიენტთა კრედიტები განეკუთვნება კერძო აღმასრულებლის კომპეტენციას.[185]

სასამართლოს თანამშრომლები ახორციელებენ აღსრულებას სახელმწიფო კრედიტების მიმართულებით, ხოლო კერძო აღმასრულებელი – სხვა დანარჩენ სააღსრულებო წარმოებას. სასამართლოს თანამშრომლების საქმიანობას ზედამხედელობას უწევს მოსამართლე, ხოლო კერძო აღმარულებლებისას – კომისია აღსრულების პროცედურების ეფექტიანობისათვის.[186]

---

[184] პორტუგალიის კერძო აღმასრულებლის როლი და სააღსრულებო ეფექტიანობის კომისიის კომპეტენცია, გვ. 4.
[185] პორტუგალიის კერძო აღმასრულებლის როლი და სააღსრულებო ეფექტიანობის კომისიის კომპეტენცია, გვ. 7.
[186] პორტუგალიის კერძო აღმასრულებლის როლი და სააღსრულებო ეფექტიანობის კომისიის კომპეტენცია, გვ. 4.

ამასთან, ბოლო დროს განხორციელებული რეფორმების შედეგად, კერძო აღმასრულებლების საქმიანობა მთლიანად გადავიდა ელექტრონულ პლატფორმაზე (E-Enforcement Agent).[187] დღესდღეობით კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია:

- ელექტრონულად აღასრულოს პროცედურის კონტროლი;
- ჰქონდეს პირდაპირი წვდომა აღსრულების ელექტრონულ ფაილზე;
- შეიტანოს მოვალეების (დებიტორების) ვინაობა აღსრულების პროცედურების საჯარო სიაში (ეს არის ე.წ. შავი სიის მსგავსი ნუსხა, რომელიც საჯაროდ ხდება ხელმისაწვდომი);
- ჰქონდეს პირდაპირი და ელექტრონული წვდომა საჯარო უწყებების იმ საინფორმაციო ბაზასთან, რომელიც შეიცავს მოპასუხეების მაიდენტიფიცირებელ და მათი ქონების შესახებ ინფორმაციას;
- ელექტრონულად გამოაქვეყნოს პუბლიკაციები თავისი საქმიანობის შესახებ;
- ელექტრონული შეტყობინება გაუგზავნოს მოპასუხეებს, კრედიტროებს, ფინანსური და სოციალური უსაფრთხოების სამსახურებს. [188]

დანიშვნა და ზედამხედველობა

აღმასრულებლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელმაც:

- ჩააბარა თავდაპირველი გამოცდა (მაღალი შეფასებით), რომელსაც ატარებს აღსრულების პროცედურების ეფექტიანობის კომისიის მიერ არჩეული დამოუკიდებელი ორგანო;
- გაიარა **10-თვიანი** დაწყებითი სავალდებულო ტრენინგების კურსი, რომლის წინაპირობას წარმოადგენს აღსრულების შესახებ ეროვნული გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- მიიღო მაღალი შეფასება ტრენინგების გავლის შემდეგ, ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. [189]

დისციპლინური წარმოება

აღსრულების პროცედურების ეფექტიანობის კომისიის შექმნის მთავარი მიზანი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, იყო აღსრულების პროცედურის ეფექტიანობის გაზრდა და კერძო აღმასრულებლების საქმიანობაზე ეფექტიანი დისციპლინური და საზედამხედველო ინსპექციის განხორციელება. მის ფუნქციებში შედის:

---

[187] პორტუგალიის კერძო აღმასრულებლის როლი და სააღსრულებო ეფექტიანობის კომისიის კომპეტენცია, გვ. 1.
[188] იქვე.
[189] გვ. 5, პორტუგალიის კერძო აღმასრულებლის როლი და სააღსრულებო ეფექტიანობის კომისიის კომპეტენცია.

- აღმასრულებლების წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების ინიცირება და სანქციების გამოყენება;
- აღმასრულებლების საქმიანობაზე რეგულარული ინსპექტირების განხორციელება;
- აღსრულების ეფექტურობის შეფასებისა და გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გამოცემა;
- აღმასრულებლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რეკომენდაციების გამოცემა.

კომისია ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე აღმასრულებლის ვინაობასაც ელექტრონულ გვერდზე განათავსებს. კომისია შედგება პლენუმისა და აღმასრულებელი საბჭოსაგან.

III. დასკვნა

განხილულ სახელმწიფოებში **კერძო აღმასრულებლის** ინსტიტუტი ყველაზე ადრე 2002 წელს (ლიტვა) და ყველაზე გვიან 2012 წელს (სერბეთში) ჩამოყალიბდა. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების მიზეზები შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, მაგალითად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება (ბულგარეთი), ევროპის საბჭოს და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაცია (სერბეთი), ისე ქვეყნის შიგნით სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტიანი სისტემის შექმნას (დიდი ბრიტანეთი), აღსრულების პროცედურის გამარტივებას, აღსრულების ეფექტიანობის წახალისებასა და სამართალწარმოების გამარტივებას (პორტუგალია).

კვლევაში განხილულ თითქმის ყველა სახელმწიფოში, გარდა პორტუგალიისა, რომელიც მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით ხელმძღვანელობს, და დიდი ბრიტანეთისა, სადაც აღსრულების საკითხები აღმასრულებლის ეროვნული სტანდარტებით რეგულირდება, მიღებულია ცალკე **კანონი კერძო აღსრულების ან კერძო აღმასრულებლის შესახებ,** რომელიც კერძო აღმასრულებლების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. ამასთან, კერძო აღმასრულებლებზე **ზედამხედველობას,** როგორც წესი, **ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო** და **აღმასრულებელთა პალატა** (სერბეთი, ლიტვა, ალბანეთი). კერძო აღმასრულებლის იურისდიქცია თავის სააღსრულებო კომპეტენციაში არსებული ტერიტორიის სასამართლო იურისდიქციას ემთხვევა.

განხილულ სახელმწიფოებში კერძო აღმასრულებლად **დანიშვნის** ძირითადი პროცედურები მსგავსია:

- აღმასრულებლის თანამდებობის დასაკავებლად ტარდება ღია კონკურსი **იუსტიციის სამინისტროს** მიერ და მოიცავს საკვალიფიკაციო გამოცდებს;
- კონკურსის პირობები და ჩატარების წესი **იუსტიციის მინისტრის** ბრძანებით დგინდება, ხოლო თავად ბრძანება კერძო აღმასრულებელთა პალატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსაზრების წარდგენის შემდეგ გამოიცემა;
- პირმა, რომელსაც კერძო აღმასრულებლობა სურს, უნდა შეავსოს განაცხადი კერძო აღმასრულებელთა პალატაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც შემდგომ ეს უკანასკნელი **იუსტიციის სამინისტროს** გადასცემს კანდიდატის შესახებ საკუთარ მოსაზრებასთან ერთად.

ამასთან, განხილულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში კერძო აღმასრულებლად შეიძლება **დაინიშნოს პირი,** რომელიც:
- თავისუფლად ფლობს ქვეყნის სახელმწიფო ენას;
- გამოირჩევა მაღალი მორალური თვისებებით;
- აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ან სხვა შესაბამისი კვალიფიკაცია სახელმწიფოს განათლების შესახებ აქტიდან გამომდინარე);
- აქვს აღმასრულებლის თანაშემწედ, ნოტარიუსად, მოსამართლედ ან რწმუნებულად (გაკოტრების საქმეებში) მუშაობის, სულ მცირე, ერთწლინი გამოცდილება, ან მუშაობდა პოზიციაზე, სადაც მოითხოვება უმაღლესი იურიდიული განათლება (რაც გულისხმობს არანაკლებ 5-წლიან განათლებას) და ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის გამოცდა.

რაც შეეხება კონკურის ჩატარების წესს, კონკურსი **სპეციალური კომისიის** (სალიცენზიო კომისია, ღია კომისია და ა. შ.) მიერ ტარდება. კომისიის შემადგენლობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, თუმცა, ძირითად შემთხვევებში, განისაზღვრება **იუსტიციის სამინისტროს** მიერ და უნდა შედგებოდეს:

- თავმჯდომარისგან – **იუსტიციის სამინისტროს** წარმომადგენელი;
- წევრებისგან (სამი წევრიდან ერთს მიღებული უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ეკონომიკაში, ხოლო კომისიის მიერ შერჩეული სამი წევრიდან ერთს – ფსიქოლოგიაში);
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლისგან;
- პალატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ დანიშნული ორი კერძო აღმასრულებლისგან;

- **იუსტიციის სამინისტროს** მიერ დანიშნული სამოქალაქო სამართლის პროფესორი/ ლექტორისგან;
- მოქმედი კერძო აღმასრულებლებისგან (იშვიათ შემთხვევაში).

პირი კერძო აღმასრულებლად ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, მის მიმართ დისციპლინური წესით უფლებამოსილების შეწყვეტამდე. დისციპლინური წარმოების განხორციელებისათვის იქმნება **სადისციპლინო კომიტეტი,** რომელსაც დისციპლინური წარმოების ინიცირებით შეიძლება მიმართონ იუსტიციის სამინისტრომ, იმ სასამართლოს თავმჯდომარემ, რომლის იურისდიქციაშიც მოქმედებდა სავარაუდო დარღვევის ჩამდენი კერძო აღმასრულებელი და პალატის თავმჯდომარემ (ასეთი პალატის არსებობის პირობებში). მოლდოვის შემთხვევაში, სადისციპლინო კომიტეტის შექმნის და მისი წევრების დანიშვნის უფლებამოსილება ეძლევა იუსტიციის სამინისტროს.

განხილულ სახელმწიფოებში მსგავსია, აგრეთვე, იმ **დარღვევების ჩამონათვალი,** რომელთათვისაც გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობა:

- კერძო აღმასრულებლად დანიშვნის ხელშემშლელი გარემოების განზრახ დამალავა;
- ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც შეუთავსებელია კერძო აღმასრულებლის რეპუტაციასთან, ღირსებასა და დამოუკიდებლობასთან;
- აღსრულების პროცედურასთან დაკავშირებული საქმიანობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება;
- განზრახ უარის თქმა აღსრულებაზე;
- მონაწილეობის მიღება აღსრულებაში თვითაცილების საფუძვლების არსებობის და მათ შესახებ ცოდნის შემთხვევაში;
- კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნის დარღვევა;
- კანონით მისთვის დადგენილი უფლებამოსილებების გადამეტება;
- დადგენილისგან განსხვავებული გადასახდელების დადგენა;
- არასახელმწიფო ენაზე საქმიანობის წარმოება;
- დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამო საკუთრების ან სახსრების ფლობა;
- პალატაში საწევრო შენატანების გადაუხდელობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საპატიო მიზეზის გარეშე პროფესიული ტრენინგების გაცდენა;
- პროფესიული ღირსების ან მორალის შეურაცხმყოფელი ქმედების ჩადენა;
- აღიარებული მორალური სტანდარტების საწინააღმდეგოდ მოქმედება ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ამცირებს ნდობის ხარისხს აღმასრულებლის

პროფესიისადმი, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას განხორციელდა თუ არა;
- კანონით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა.

ამასთან, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ამავე დარღვევაზე არ გამორიცხავს კერძო აღმასრულებლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

კერძო აღმასრულებლის **დისციპლინური პასუხისმგებლობის** ძირითადი სახეები მსგავსია:

- საყვედური;
- ჯარიმა, გონივრულ ვადაში გადაუხდებლობის შემთხვევაში, ჯარიმის სრულ გადახდამდე შეუჩერდება ლიცენზია;
- გაფრთხილება უფლებამოსილების შესაძლო შეჩერების თაობაზე;
- უფლებამოსილების შეჩერება გონივრული ვადით (რაც, ძირითად შემთხვევებში, მოიცავს 3 თვიდან 5 წლამდე ვადას);
- ლიცენზიის შეჩერება გონივრული ვადით (რაც, ძირითად შემთხვევებში, მოიცავს 3 თვიდან 2 წლამდე ვადას);
- ლიცენზიის გაუქმება;
- უფლებამოსილების შეწყვეტა.

დოკუმენტში განხილულ სახელმწიფოთა მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსია **დისციპლინური წარმოების პროცედურებიც:**

- დისციპლინურ დარღვევაზე წარმოება იწყება სადისციპლინო კომიტეტისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან შეიძლება წარმოდგენილი იყოს აღმასრულებელთა ღირსების სასამართლო) **იუსტიციის სამინისტროს** მიმართვით ან კერძო აღმასრულებელთა პალატის გადაწყვეტილებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ორგანო, რომლის წარდგინებითაც დაიწყო დისციპლინური წარმოება, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ თავად კერძო აღმასრულებელს აცნობოს, ხოლო კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში საკუთარი მოსაზრებები წარადგინოს;
- სადისციპლინო კომიტეტი იწყებს წარმოებას და ადმინისტრაციული გამოძიების დასრულების შემდეგ **იუსტიციის მინისტრს** საბოლოო დასკვნას წარუდგენს გამოსაყენებელი დისციპლინური ზომების გათვალისწინებით;

- **იუსტიციის მინისტრი** ამ დასკვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ვალდებულია, კერძო აღმასრულებლის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია კერძო აღმასრულებლის შესახებ შესაბამისი კანონით.

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების **ხანდაზმულობის ვადები** განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და, ძირითადად, მიოიცავს 3-დან 6 თვემდე პერიოდს დარღვევის აღმოჩენიდან, მაგრამ არაუმეტეს 2 ან, ზოგ შემთხვევაში, 3 წელს დარღვევის ჩადენიდან, ხოლო თავად წარმოების ხანგრძლივობა 30 დღეს არ აღემატება.

გამოყენებული ლიტერატურა:

სტატიები/ნაშრომები:

1. ანგარიში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ევროპაში, European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), 2007;
2. ალეკანდ ანელი, ესტონეთის უნივერსალური სააღსრულებო პროცედურა, ტარტუს უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი;
3. ევროკომისიის ანგარიში მართლმსაჯულების ეფექტიანობის შესახებ, ევროპული სასამართლო სისტემები (European Commission for the Efficiency of Justice-ის (CEPEJ) Report) European Judicial Systems, 2012;
4. მოლდოვას იუსტიციის მინისტრის განცხადება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში (ლიტვა) – Republic of Lithuania: Financial Sector Assessment Program Update - Technical Note Insolvency and Creditor Rights Assessment.
5. საერთაშორისო სემინარის თემატიკა: კერძო აღმასრულებლების როლი და კომპეტენცია აღსრულების ეფექტიან პროცედურასთან მიმართებით, „The role of the Portuguese enforcement agent and the competence of the commission for the efficiency of enforcement procedures, 7th International Seminar, the legislation about enforcement of the Judicial Decisions and Russian and on European Union: theoretical analysis and practice“.

კანონმდებლობა:

1. ალბანეთის რესპუბლიკის კანონი კერძო სასამართლო აღმასრულებლის სამსახურის შესახებ;
2. ალბანეთის კერძო აღმასრულებელთა შესახებ აქტი;
1. ბულგარეთის იურიდიული სისტემის შესახებ აქტი;
2. ევროკონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ;
3. ესტონეთი, აქტი აღმასრულებლების შესახებ;
4. ესტონეთის აღმასრულებელთა კანონი;
5. ლიტვის კანონი აღმასრულებლების შესახებ;
6. მოლდოვას კანონი აღმასრულებლების შესახებ;
7. პორტუგალიის მთავრობის დადგენილება (Government Decree Law) Nr.38/2003, March 8, 2003);
8. სერბეთის კანონი აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ.

ოფიციალური ვებგვერდები:

1. ბულგარეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები;
2. ბულგარეთის პრესა კერძო აღმასრულებლებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ;
3. ბულგარელი კერძო აღმასრულებლის – ველიჩკო აპოსტოლოვის, პირადი ვებგვერდი;
4. დიდი ბრიტანეთის ეროვნული არქივი;
5. დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტრო;
6. ესტონეთის კერძო აღმასრულებელთა პალატა;
7. ესტონეთის აღმასრულებელთა და გაკოტრების რწმუნებულთა პალატა;
8. საინფორმაციო ვებ-გვერდი დიდ ბრიტანეთში კერძო აღმასრულებლების შესახებ;
9. სერბეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები.